



წიგნაკრები: შუათანა თაობა ნ. ყორღანაძის. — სხვა-და-სხვა ამბები. — „კვალის“ კორესპონდენციები. — კვირიდან „კვირამდე“. \* \* \* ლექსი ი. ევდოშვილისა. — წერილი ბრიუსელიდან ლ დ-ისა. — მცირე შენიშვნა შავია-დაისი. — სტუდენტების მოძრაობა — „ეს იყო ჩემი იმედები“?! მოთხრობა ჩანჩალაძისა. — წერილები რედაქციის მიმართ. — ანგარიში. — საქველმოქმედო საქმე. — „კვალის“ ფოსტა და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

### შუათანა თაობა.

#### II.

როგორც პირველ წერილში ეთქვით, შუათანა თაობამ ვერ შეიგნო თავის ღრობის მოთხრობილება, ალლო ვერ აართვა ჩვენი ცხოვრების მსვლელობას და, ასპარეზზე გამოსვლისთანავე, დაბერდა, დაწერილმანდა და ძველი თაობის წინ დაიჩოქა. მან ამ თავის უკან-უკან სიარულში თან გაიყოლია ყველა ის, ვინც გზაზე დახვდა და ახლა ასეთსავე ჩათრევას უპირებს ახალ თაობას. ამისათვის, ახალი თაობა მოვალეა იცოდეს თუ როგორ ხდება ეს პროცესი, რომ მათ თავიდან აიშორონ მომავალი საფრთხე — საფრთხე თავის პირადობის დაკარგვისა და გადასხვაფერებისა. ამ გადასხვაფერების ერთ საუცხოვო მაგალითს წარმოვიდგინებ ბ. მაიაშვილი. ის მუდამ ცდილობდა (და ახლაც ცდილობს) თავის თაობის მალა მდგარიყო, მისთვის ბრძანების გაცემა შეძლებოდა, მაგრამ მუდამ მის კლანჭებს ქვეშ ვარდებოდა და მისგან ბრძანებას ღებულობდა. ამას ნათლათ დაგვიანებებს მისი ნაწერების გარჩევა. ჩვენ, რასაკვირველია, მისი აზ-

რების კრიტიკას არ გამოვეუდგებით, ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. ჩვენ მხოლოდ აღვადგენთ ავტორის პუბლიცისტურ სახეს, მის სავალ გზას იმდენათ, რამდენათაც ეს მის ნაწერებშია ჩაქსოვილი და გამოანსკული. <sup>1)</sup>

ბ. მაიაშვილი ქართული მწერლობის ასპარეზზე პირველათ გამოვიდა 1882 წელს და გამოვიდა დი-

1) ბ. მაიაშვილი ეს 17 წელია რაც ქართულ მწერლობაში მოღვაწეობს და ამ ხნის განმავლობაში მან დასწერა მხოლოდ ოთხი სტატია. აი მათი სათაურები.

1) „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“ „იგეკია“ 1882 წ. № 8-9; 2) „კვლევი და ახალი თაობა“, „იგე“. 1889 წ. №№ 222-238; 3) „ჩვენი დედა ჯიტი და ახალი დრო“ „იგე“. 1891 წ. № 95-140; 4) „ქუთაისის სასაღვლო-მამულა ბანკი და მისი მოქმედება“, „მომბე“ 1896 № 12 და 1897 წ. № 1-2. რაც შეეხება მის რუსულ ნაწერებს — ეს ან წგრილმანი კორესპონდენციებია ქუთაისის აუგანგის შესახებ ან და სპეციალური წერილებია მარჯანეტზე, რკინის გზის მიმართულებასზე და სს, გაკდა ორიოდ კრიტიკული წერილისა.

დი რიხით და ჭეკა-ქუხილით. მან „წერილით“ მიმართა ჩვენ მოღვაწეებს და თან ასე გამოუცხადა: „თქვენი მოქმედება, ბატონებო, ძლიერ პატივსაცემია, თქვენი ღვაწლი ყველასათვის ცხადია, ჩვენც თანაფუგრძობით მას, მაგრამ ამასთანავე ჩვენი მხრით დიდი უზრდველობა იქნებოდა თქვენ წმინდა განზრახვათა წინაშე დაგვემალა თქვენთვის, რომ ის კითხვები და საგნები, რომელთაც თქვენ ახლა სულით და გულით მისცემიხართ, ჩვენ უსაჭიროეს და არსებით საგნათ არ მიგვაჩნია“. ქართული ენის დაცვა, სასარგებლო წიგნების გამოცემა, სკოლების დახსნა და სხ. ამისთანები საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ამ საგანზე გაჩერება, მათ გარეშემო ტრიალი და ამასთანავე ძახილი, მხოლოდ ამაზე არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერება—იმასა ნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პრაქტიკაში კვლავ კიდევ არ გაინათ შექუშავებული და მტკიცე ნიადაგზედ დამყარებული. ეს მიუტყვევებელი ცოდვა გასწავსთ თქვენთვის“ („ივ.“ № 9, 99—100 გვ. კურსივე ყოველგან ჩვენია). მაშ რაში უნდა მდგომარეობდეს ეს „მოქმედების პროგრამა“? ის მდგომარეობს „ეკონომიური კითხვების ახსნასა და გადაწყვეტაში, რომლების გამოასარკვეველათაც იბრძვის ახლა ყველა თანამედროვე პარტიები, მთელი კაცობრიობა“—ა. და ბ. მაიაშვილი ცდილობს ამაში დაარწმუნოს მკითხველი ჯერ თეორიულათ და მერე ხელში მისცეს ამის შესაფერი „სამოქმედო პროგრამაც“. და მართლაც, ავტორი საკმარისი გამჭვირვებით ასაბუთებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ეკონომიური კითხვები მთავარი კითხვებია ერის ცხოვრებაში; მას თავს დასტრიალებენ როგორც ლიბერალები, ისე კლერიკალები, როგორც ევროპის უბრალო მუშა, ისე ძლიერ მოხილი კანცლერი (ბისმარკი). ეს არის საერთო საძარკველი ყველა პარტიათა და მთავრობათა მოღვაწეობისა. ერთი სიტყვით, „ჭეშმარიტნი მებრძოლნი ხალხის სიკეთისათვის, პატრიოტნი, ძალუმი მოყვარენი თავისი სამშობლოსი თავისსავე საკუთარის ხელით უთხრიან ორმოს ძვირფას თავის ქვეყნას, უკეთუ იფიქრებენ ხალხის ეკონომიურ ინტერესს“... ცხადია, ბ. მაიაშვილმა ეკონომიური კითხვა ყველა კითხვაზე მალა დააყენა და ერის საჭირო-ბოროტო კითხვათ გამოიტანა. და აი ბ. მაიაშვილის დამსახურებაც ამაში მდგომარეობს.

მარა ეკონომიური კითხვის უაღრეს კითხვათ აღსარება—ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, თუ ის როგორ გესმის და ან რაწინაირათ ატარებ მას პრაქტიკულ მოქმედებაში. ამ კითხვას, როგორც თვით ავტორი ამბობს, ყველა ებლაუჭება და ამასთანავე ყველას სხვა-და-სხვაწინაირათ ეყურება. ლიბერალის „ეკონომი-

აში“ ძირიანათ განიჩევა სოციალისტის „ეკონომი-საგან“; მეურნისთვის ერის კეთილ-დღეობა მეურნეობაზეა აშენებული, ხოლო მრეწველისთვის კი მრეწველობაზე. და ყველა ეს პრინციპები და პარტიები ერთმანეთს სამკედრო-სასიცოცხლოთ ებრძვიან. რა ალაგი გიჭირავს აქ? რომელ ამთავანს ემხრობი? რა ეკონომიურ მოძღვრებას მისდევ? აი რის ახსნა და გარკვევა ახასიათებს თვითოეულ მოღვაწეს და შესაფერ მიმართულებას აძლევს. ბ. მაიაშვილის თუ ამ თვალთ შევხედავთ, დაეინახავთ, რომ ის მეურნეობის დედა-აზრზე დგას, ის სოფლის ხალხს და სოფლის ცხოვრების მოტრფიალეთ. ის ამბობს: რუსეთის გლეხ-კაცობის გაღარიბების და გათახსირების მიზეზი მონახულ უნდა იქმნას იმაში, რომ 19 თებერვლის რეფორმატორნი „გატაცებული იყვნენ ევროპიელ ქვეყნების წარმოების და მრეწველობის წარმატებით და მოინდომეს არა თუ მართო განთავსულება ხალხისა ბატონ-ყმობისაგან, არა თუ მართო წაქეზება და წახალისება გლეხის შრომისა, არამედ ამ საგნებთან ერთათ მათ ისიც დაიდევს საგნათ, რომ მთავრელობა აღმოეჩინათ და წახალისებიათ შინაური და მშობლიური მრეწველობა (отечественная промышленность). ამით ეს მოქმედნი რეფორმისა დიდათ შესტყვენ და თავის გუგუბწყვილობაში ჭკანებულენ, რომ ამგვარათ ისინი ალაყვავებენ და განავითარებენ ქვეყნას ეკონომიურათ“. ამ იმედით მათ ხელი გაუმართეს ფულის პატრონთ, კაპიტალისტებს. „გაჩაღდა განვლებული საჭინისგზო მოღვაწეობა, დაარსდა ბანკები, აქციონერული და საკრედიტო დაწესებულებანი... რომ ამ სახით დასწავლავდა წესეთი დასავლეთ ევროპის სასკლშიფოთათ ტიპს.“ (— 8, გვ. 148). აქედან აშკარაა, ქვეყნის გავეროპილება, მრეწველობის და მიმოსვლის განვითარება დიდათ მანებელი ყოფილა ხალხისათვის და ეს ასეთი ვნება მოვლენილა რეფორმატორთა „გატაცების“ მიზეზით! ამ „გატაცებულთ“ ესეც არ უკმარებიათ და ხალხისთვის თავზე მოუსხვევიათ „ენა-მეტყველა მუშმუხელა ეაჭარი, რომელიც დღეს არა, ხვალ გადაქცევა ნამდვილ კაპიტალისტათ და რომელსაც ყოველივე ღონე და კულტურული სახსრები ხელთ ექმნება ხალხის სრულის და სისტემატიურის ცარცვა-ყველფისათვის“ (150 გვ.) ერთი სიტყვით, ბ. მაიაშვილის აზრით რეფორმატორთ პორტფელთ შემოუტანიათ კაპიტალიზმი და მით რუსეთი უკან დაუქანებიათ! და არცერთი ეს არ მოხდებოდა თურმე, მათ რომ განეხორციელებიათ იმ მოღვაწეთა იდეა, რომელნიც მოითხოვდნ საქმის „რადიკალურათ და ერთბაშათ“ გადაწყვეტას. უამისოთ კი, ამბობდენ უკანასკნელნი, „მოსალოდნელი სიკეთისა და ნეტაჭების მაგიერ ხელთ

დაგვიჩვენებთ ხალხის უარესი შეწუხება, მოვესწოებით მის უარეს გაღარიბებასა“.

ამ ნაირათ, ბ. მაიაშვილი 1882 წ. 1861 წლის ეკონომიური პროგრამის მოტრფივალეთ გამოსულა. ბ. მაიაშვილი გადასახლებულა მესამოცე წლებში და აღმოუჩინია ის, რაც კაი ხანია აღმოჩენილია. მარა ის საჩქაროთ ბრუნდება მეოთხმოცე წლებში და ახდენს თავის საკუთარ აღმოჩენას, სახელდობრ: რუსეთის ეკონომიური განვითარება, მრეწველობის და აღებ მიცემობის აღორძინება რეფორმატორთა „კატაკების“ და „გულ-უბრყვილობის“ ბრალითა, და ასე ორიოდე კაცის სურვილი რუსეთის მთელი ახალი ისტორიის დასაბამი ყოფილა! როგორც ხედავთ, ბ. მაიაშვილის „ეკონომია“ სულ სხვა ჯურის „ეკონომია“, ამას არავითარი კავშირი არ აქვს არა თუ მარქსის ეკონომიასთან, არამედ აღარც უბრალო ისტორიულ კანონებთანაც. სურვილი, გაუგებრობა, გატაცება, შემთხვევა - აი ბ. მაიაშვილის მეცნიერული საზომი. აქაიქ ის მართალია, განვითარების კანონებზედაც ლაპარაკობს, მარა ეს უბრალო სიტყვათ რჩება და ავტორის სისტემას სრულებით არ ეთანხმება.

ბ. მაიაშვილმა ახალ სიტყვებში გამოხეია ძველი აზრი და მით შუათანა თაობის „გლენსურ“ მიმართულებას მიუახლოვდა. ის მოთქვამს გლენის „დაკარგულ სამოთხეზე“ და მის მოპოვებულ გაჭირებაზე. და ეს, თუმცა შემდგარი ისტორიული შეხედულებაა, მარა ლტოლვილება მაინც სიმპატიურია. რაც უნდა იყოს, გლენისთვის არის თავკამოდებული და ამასაც არა უშავს რა.

ასეთი იყო ბ. მაიაშვილი 1882 წ.

მას შემდეგ განვლო რამდენიმე წელიწადმა და ჩვენი მწერლობაც თავად-აზნაურულ კილოზე მოიმართა. და, აი, ბ. მაიაშვილიც ჩქარობს თავისი ჩანგი ამ კილოზე ააწყოს და საერთო ოროველას ერთა ხმა შემატოს. მან ახლა ჩვენში თავად-აზნაურობაც დაინახა და მისი გაჭირებული მდგომარეობა ჩვენც დაგვანახვა. მარა აქაც შეირჩინა მან თავისებურობა. ბრწყინვალე წოდების დაქვეითების მიზეზი ისეთ ალაგას აღმოაჩინა, რომ თავისი „გულ მოდგინეობით“ გააკვირებდა არა თუ შუათანა თაობას, არამედ ძველ თაობასაც. ეს მიზეზი 1891 წ. ყოფილა გლენ კაცობა, რომლის სეე-ბედს ასე დასტიროდა 1882 წ. აი, ბ. მაიაშვილის სიტყვები: „სგნა-ოქსისა და მიწად-მფლობელობის საქმეში ამ ქამად მედგარი და ყრუ ბრძოლა — ჭიდილია გამართული თავდა-აზნაურების და გლეხ-კაცების შორის. ყოველივე იმედი გამაჩვიების ამ ბრძოლაში ჯერ-ჯერობით გლენ-კაცსა აქვს. თან-და-თან უფრო ძლიერდება

გლენ-კაცო და, თუ საქმე ცელაე ასე წაიდა, თუ თავად აზნაურობამ დაწოვდა ან იზჭუნა და ან ისინა თავი (გლენ-კაცობისაქან?!), მალე სჭულიად დამაჩვიებდა“. („ივ.“ 1891 წ. № 121). გამოდის, რომ ჩვენ მემამულე და გაგებულ „კნიაზს“, უმამულო და ლატაკი უვიცი „ტეტია“ ამარცხებს! გლენობა ჩაგრავს თურმე თავად აზნაურობას და ბ. მაიაშვილიც იწვევს უკანასკნელს, იხსენ თავი შენი ამ „ჩაგვრელისაგანო“ ეს კიდევ ცოტაა, ის დიდი გულ-მტკივნეულობით აღნიშნავს, რომ თავად-აზნაურობის „ხსნა“ ასე ადვილი არ არის, ის თავის მამულს აღარ უფლის, მიწას გლენებს აძლევს სამუშაოთ, საღალოთ, და თვითონ კი ქალაქში მიდის საცხოვრებლათ და საფლანგავათ. მისი წინაპარი კი ასე არ შერებოდენ, ისანი სოფლათ იყვენ და მამულს თითონვე უძღვებოდენო. „ამ სახით, განაგრძობს ავტორი, მხნეთა და მტკიცე შეურყეველის ზნეობის კაცთა თაობას (ბატონ-ყმობის დროინდელი) მოჰყვა თაობა უსაქმურთა და მოცლილთა; შრომის და გამარჯვლობის მოყვარულმა მამებმა (სწორეთ ასეთი არ იყო თათქარიძე!) დაუტოვეს ქვეყანას შეილნი მუქთამქამელნი. მოდიოთ ახლა და ბრძანეთ, რომ ფრიად სამწუხარო სამკვიდრებელი არ არის ასეთი სამკვიდრებელი! მოდიოთ ახლა და ბრძანეთ ასეთი ყოფა დიდი მუქარა ან აჩის ჩვენის მუქმისისათვის“. (იქ.). მართლაც, რომ დიდი მუქარაა, ბ. მაიაშვილო, ჩვენი მერმისისათვის ასეთი აზრების გაერცვლება. თუმცა ისიც დიდათ საოცარია, რომ ჩვენში ეს „მოძღვრების“ მიმდევარი გარდა გლენისა და აზნაურისა ველაფერს ხედავდეს, მარა კიდევ უფრო გასაოცარი რე გასაშტერებელა ის, რომ გლენის გამარჯვება და აზნაურის (და ისიც მუქთამქამელის) დამარცხება დიდი „მუქარა“ ყოფილა ჩვენი ქვეყნისათვის. რატომ, რისთვის, ბ. მაიაშვილო. და ნუ თუ მართლა 1882 წ. წელში გატეხილი გლენი 1891 წ. ისე გაიმართა, რომ თავად-აზნაურობასაც კი ანადგურებს? ერთი მითხარით, საიდან დაუესკენია ეს ამ ჩვენ „პროგრესისტს“, უკაცრავათ, „მარქსისტს“ მაიაშვილს? და თუ თავად-აზნაურობა ქვეითდება, ნუ თუ ეს გლენის ბრალი გვანიათ? კარგი, ეთქვათ, თქვენ ასე გვანიათ, მარა მარქსს რას ერჩით, რომ ყოველივე ეს მისი სახელით გამოგაქეთ?

ბ. მაიაშვილმა არა თუ შეითვისა თავად-აზნაურული მიმართულება, არა თუ შეუერთდა შუათანას და ძველ თაობას, არამედ მათ წინაც გაასწრო და თავის ახალი მოძღვრება უკიდურესს ხარისხამდე მიიყვანა. ის მაგ. არკვევს ქართველ დედათა-კითხვას და თანაც მხოლოთ თავად-აზნაურთა დედებს გულისხმობს. და რადგანაც ეს წოდება, მისი აზრით, გლენ-



ხმა დაჩაგრა, მაშასადამე დაიჩაგრა „ქართველი დედაც“. „სახლში რაკი უფროს ერთ ოჯახს თავდაზნაურობისას საკუთარი მეურნეობა არ აქვს, დედაცაც არაერთი ისეთი საქმე არ მოეპოვება, როგორც ოდესმე მოეპოვებოდა“ — წერს ჩვენი „მარქსისტი“ იქვე. კი მარა, შეიძლება „მხაგერელის“ გლეხის დედებია უკეთეს მდგომარეობაში, ამ წოდებამ რალა დაგიშვათ, რომ ყურადღებას არ აქცევთ? თუ ერთი წოდება დაბლა მიდის, მეორე ხომ მაღლა ამოდის და მაშასადამე თან ამოჰყავს თავისი „დედებიც“. ამას კი ბ. მაიაშვილი აღარ ენება და პირდაპირ აღიარებს: ქართველი დედა უკან-უკან წავიდაო. ერთი სიტყვით, ბ. მაიაშვილი ქვეყანას თავდაზნაურული თვლით უტკერის და სადაც ამ წოდებას ვერ ხედავს, იქ სხვას ველარაგის ამჩნევს.

ასე და ამგვარათ, ბ. მაიაშვილის 1882 წლის „გლეხური“ მიმართულება იქცა 1891 წლის თავდაზნაურულ მიმართულებათ. წინეთ ის გლეხის წამოყენებას მეცადინეობდა, ახლა კი გლეხი უკვე წამომდგარა და თავადი დაცემულა. ამისათვის „წამოყენებულს“ თავი დაანება და „დაცემულის“ წამოყენებას შეუდგა. ის ამ ჟამათ ამ „წამოყენების“ მუშაობაშია და დასახმარებლათ იწვევს თავისიანებს ე. ი. „ქვემარბე ინტელიგენციას“.

რა აზრისა არის ბ. მაიაშვილი ინტელიგენციაზე? ამას შემდეგ წერილში დავინახავთ.

**ნ. ყორღანია.**

**სხვა-და-სხვა ამბავი.**

თფილისის გუბერნიის თავდაზნაურობის წინამძღოლმა თ. კ. ი. მოხრანსკიმ, როგორც ვიცით, თავისი მამული მუხრანი საუფლისწულო მამულს მიჰყიდა. ახლა მას მანთაშევისათვის მიუყიდა თავისი დიდი სახლი, გოლოვინის პროსპექტზე, 550 ათას მ.

ქართულ დრამ. საზოგ. გამგეობას განუზრახავს პუშკინის ასი წლის დაბადების დღე, 26 მაისი, იღვრასაწაულოს. ქართულ თეატრში დადგმენ პუშკინის რომელსამე პიესას, წაიკითხავენ მის ლექსებს და სხ. ამ მიზნით, ახლავე შესდგომიან მოგროვებას პუშკინის ყველა იმ თხზულებათა, რომელიც ქართულათ არის ნათარგმნი.

მიწათ მოქმედების სამინისტროს ნება დაერთო მიიღოს თ. ზ. ერისთავისაგან ოძისის მამული საჩუქრათ და გახსნას იქ სამეურნეო სასწავლებელი.

შენიშნულია, რამ ამიერ კავკასიის სოფლის მცხოვრებნი ქალაქის მცხოვრებლებათ ეწერებიან, თუმცა ისევ სოფელში რჩებიან. თფილისის გუბერნიის გადასახადების ინსპექციას გამოუძიებია ამის მიზეზი და აღმოუჩინია შემდეგი: სოფლის ხალხს ისეთი გადასახადები აწევს კისრათ, რაც არ აწევს ქალაქისას და, რასაკვირველია, ცდილობს ქალაქში გადაეწეროს. ამ გადასახადთა შორის უმთავრესია ბეგარა, გლეხები ვალდებული არიან გზები აკეთონ, წყლის ნაპირები ამაგრონ და სხ. აიტომ ინსპექციას დაუდგენია: საჭიროა ეს უღელი შეუმსუბუქდეს გლეხობას იმით, რომ ბეგარაში სხვა წოდების ხალხმაც მიიღოს მონაწილეობა, მაგ. გზები ყველასთვის საჭიროა, მაშასადამე იმას ყველა უნდა აკეთებდეს. ხოლო ამისათვის უნდა გაუქმდეს სამუშაოზე გაწვევა და შემოღებულ იქმნას ფულათ გადასახადი, რაც გზებს მოხმარდება. ამ გადასახადს დააკისრებენ, როგორც გლეხობას ისე თავდაზნაურობას, სასულიერო წოდებას, მწარმოებელთ და მოქალაქეთ. როცა ასე შემსუბუქდება გლეხობის მდგომარეობა, მაშინ ქალაქში გადაწერას თავს დაანებებენო.

თფილისის გუბერნატორათ ნამყოფი ბიკოვი პეტერბურლიდან თფილისში დაბრუნებულა და აქ ნათიკ ვეჭილათ სურს ჩაირიცხოს. („ახ. მიმ.“)

როგორც ისმის, განზრახვა აქვთ საქართველოს სინოდალური კანტორის მოხელეთა რიცხვი გაამრავლონ.

როგორც ამბობენ, კახეთის რკინის გზის კონცესია თ. ნ. დ. ჭავჭავაძისთვის მიუციათ.

თფილისის ცხენის რკინის გზის დირექტორმა რომიმ მთაწმინდის გორაზე შეიძინა 370 დესიატინა მიწა გაბაშვილისა და პოლტარაჟისაგან. რომის აზრათ აქვს იქ გააშენოს ბაღი, გამართოს სასტუმრო, ამოიყვანოს შადრევანები და სხ. ამასთანავე ზევით ასასვლელათ და ჩამოსასვლელათ ელექტრონის რკინის გზას გაიყვანს. ჩინებული პლანია!

სიღნაღის მაზრის თავდაზნაურობას გადაუწყვეტია, დატოვოს ბანკში თავისი ხვედრი საწვერო ფული და შემდეგ გადაწყვიტოს რა საერთო საჭიროებას მოხმარდეს ის.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორისთვის, ბ. გარსევანაშვილისთვის, 31 მარტს

რევოლუციური უსურია ამავე სასწავლებელში შევირ-  
დათ ნამყოფს და ცუდი ყოფაქცევითების გამორიც-  
ხულს, გაბუნიას. რევოლუციური აცდენია. დამნაშავე  
შეპყრობილია.

გაზეთ „ივერიაში“ დასრულდა თ. ილია ჭავჭა-  
ვაძის წერილები „სომეხთა მეცნიერნი და ქეთათა ლა-  
ლადი“. წერილებში ანუხსულია, თუ „სომეხთა მეც-  
ნიერნი“ როგორ სისტემატიურათ და უსაბუთოთ ამ-  
ცირებენ ქართველებს უცხოთა თვალში და უპირა-  
ტესობას სომეხებს ანიჭებენ. წერილების მთავარი ნაკ-  
ლულევენება ის არის, რომ ისინი მხოლოდ რუსუ-  
ლათ დაწერილ „სომეხთა“ ნაწერებს შეეხებიან (გარ-  
და ერთ მაგალითისა) და, რადგანაც რუსულ ენაზე  
ამ საგანზე ისინი წერას რაოდენიმეთ ერიდებიან, აე-  
ტორსაც სულ ორი სომეხი შერჩენია ხელში, პატ-  
კანოვი და ეზოვი და ესენიც ქართულ მწერლობაში  
გარჩეული და ნაცნობი. პატკანოვის შესახებ დ. ბა-  
ქრაძემ წიგნაკიც კი დაბეჭდა, ხოლო ეზოვზე „მოა-  
მბეში“ იყო ვრცელი სტატია. უფრო საინტერესოა  
„წერილების“ მეორე ნაწილი, სახელდობრ, „ქეთათა  
ლალადი“, რომელიც შეიცავს „პეტერბ. უწყებების“  
თანამშრომლის გოლსტრემის წერილის კრიტიკას.  
ეს რომ რუსულათ დაბეჭდილიყო იმავე გაზეთში,  
სადაც გოლსტრემის წერილი იყო დაბეჭდილი, უფ-  
რო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

„კავალის“ კორესპონდენციები.

ქუთაისი. 29 მარტს ქალაქის თვით მმართველო-  
ბაში გაიჩნა ქუთაისის ნოქრების თხოვნა აქაური მა-  
ლაზიების დაკეტის შესახებ. პირველ ყოვლისა ბ. გრ.  
კემულარიამ რამდენჯერმე თხოვა ქალაქის თავს  
წაეკითხათ, თუ ვინ იყო ამ ფრიად საყურადღებო  
თხოვნაზე ხელმოწერილი ნოქართავანი. მისი სურ-  
ვილი იყო გაეგო ნოქართა ვინაობა და აკრეფე  
ის, თუ მათ შორის თავისი ნოქრებიც ვრდენ. რა-  
საკვირველია, ამის სამაგიეროს სხეებს თუ არა თავის  
ბიჭებს მაინც ვადაუხდიდა, მაგრამ უმტყუნა იმედმა  
და ნოქართა ვინაობა არ ვააგებდეს. ამან რომ არ გა-  
სჭრა ბ. კემულარიამ მჭერ-მეტყველობას მიმართა, ის  
სულ იმას გაიძახდა, თუ კერას მალაზიები დაიკეტა  
ქუთაისის ვაჭრებმა უნდა ბარგი ბარხანა აიკიდონო.  
თ. კორილე ლორთქიფანიძემაც კვერი დაჰკრა, სწო-  
რეთ დაილუბებინაო, ხოლო ნოქრებს თავისუფლება  
ენებასაც კი მოუტანსო. მისი აზრით ნოქრები ისე-  
თი ცუდი მიმართულებისა არიან, რომ თავისუფლე-  
ბა იმათ მთლათ წყალში გადაჰყარისო. მე ძალიან მი-

კვირს თ. კ. ლორთქიფანიძე რათ ნებულობს ასეთ  
ნოქრების დამცირებას ან რით ასაბუთებს თავის სი-  
ტყვებს. დიდი ხანი არ არის რაც ნოქრებს კვირადღეს  
ორი საათი თავისუფლება ელირსათ და ჩემი ფიქრით  
მას არსად არ უნდა გაეგონოს, რომ ეს მცირე თავ-  
ვისუფალი დრო შრომის მოყვარე ნოქრებს ცუდ სა-  
ქმეში მოეხმარათ. ძალიან მიკვირს თ. კ. ლორთქი-  
ფანიძის თვალში ვისი წყალობით დამსახურეს საბ-  
რალო ნოქრებმა ასეთი გლახა სახელი. ხმოსანმა ფი-  
ფინოვმა და დ. ნაზაროვმა შეენიერი სიტყვებით დაა-  
სურათეს როგორ უნდა მოეწყოს ადამიანის რი-  
გიანი ცხოვრება და მეცნიერთა სიტყვებიც კი მოი-  
შველიეს, მაგრამ რა, გრ. კემულარიას ყველა ეს  
ეკალივით ესობოდა ყურებში და იძახოდა, ჩვენთვის  
ფილოსოფია არ არის საჭიროვო, ჩვენ უიმისოთაც  
კარგათ ვზომავთ და ეჭამთო, უარი ეყოს ნოქრების  
თხოვნასო და მართლაც უარი დააკრეს ზურგზე ჩვენ  
თხოვნას და გამოგვისტუმრეს. უკანასკნელათ არ შე-  
მიძლია პატივცემულ მკითხველებს არ გავაცნო ჩვე-  
ნი საბრალო ნოქრების მდგომარეობა, აგერ სამი  
წლის წინეთ დიდის თხოვნით და ვაი-ვაგლახით ქუ-  
თაისის ხმოსნების განკარგულებით მალაზიები დაკეტი-  
ლია დილის ცხრა საათიდან 12 საათამდის და იკეტება  
სალამოს ექვს საათზე. მაგრამ ნოქრები კიდევ უფრო  
უარეს მდგომარეობაში არიან. მალაზიების ვალების  
ვადამდე ყველა კარებთან არიან ატუხულონი და, მუ-  
შტარს დაინახევენ თუ არა, შეუღლებენ კარს, შეიყვა-  
ნებენ შიგ და ბნელით მოცულ მალაზიაში უნდა უჩვე-  
ნონ საქონელი და შავი თეთრათ უნდა მძჷყიდონ.  
ასე ნებაეს „ხაზენის“ და აბა რა ჰქნას ნოქარმა. ჩვენ-  
თვის არც წირვაა და არც გონების ვარჯიშობა. თქვენ  
ბიჭი ხართ და ბიჭურათ უნდა გაიზარდოთო, მორჩა  
და გათავდა.

ნ. აბაშიძე.

ქველი სენაჯი. გეცოდინებათ, რომ ძველ-სენაკში  
ამ ორიოდ წლის წინეთ მეაბრეშუმეთა ამხანაგობა  
დაარსდა. ვერ წარმოიდგენთ რა სასოებით შეეყურე-  
ბლით ამ საზოგადოებას, რა იმედებს ვამყარებდით  
მასზე. მთელმა სამეგრელომ აქტიუური მონაწილეობა  
მიიღო ამ საქმეში, ვინ ფულით, ვინ რჩევით, ვინ  
წვერათ შემოსვლით და სხვა. გვიხაროდა მომავალში  
წარმოება გაფართოვდება, ფრთებს შეისხამს და გაუმ-  
ჯობესდება თქო, მაგრამ ჩვენი სიხარული ტყუილი  
გამოდგა. დაარსდა ამხანაგობა რე მას აქეთ არა ვიცითრა,  
მოიგეს თუ წააგეს, აპირებენ საქმის გაგრძობას, თუ არა.  
ამ ხანათ ჩვენ ეს ამხანაგობა გაქარწყლებულათ მიგვაჩ-  
ნია, რადგან არაერთარი სიცოცხლის ნიშან-წყალი მას  
არ ეტყობა. მაშინ როცა სხვა და სხვა გადამთიელი თუ



შინაური ჩარჩები ეს ერთი თვეა აქ ბუზებსავე და-  
ფუსფუსებენ და ღმერთმა უწყის როგორ თესლს ასა-  
ლებენ, ამხანაგობის გამგეს ერთი მისხალი თესლიც  
არ მიუწოდებია თივის წვერებისათვის. საკვირველია,  
ღმერთმანი, ზოგიერთების ლოლიკა: თუ ერთს რო-  
მელიმე სფერაში უნარი გამოიჩინე, ასე ჰგონიათ  
უსათუოთ ყოველ საქმეში კარგი იქნებაო. აქაო და  
ყ — სხელ განთქმული მეკრივე არისო, უსათუოთ  
შეუდარებელი გამგეც იქნებაო. და შეაჩჩეს ეს დიდი  
საქმე ხელში. არა, ბატონებო, ეს დიდი შეცდომაა,  
შეიძლება კაცი კარგი მემუშტ-კრივე იყოს, მაგრამ  
სავაჭრო ამხანაგობის მოთავეობის კი არა გავეგბო-  
დესრა. შეიძლება ჩინებული მწერალი იყოს, მაგრამ  
ცული ბანკირი გამოდგეს და სხვა. ამის მაგალითი  
სხვაგან რომ არ ვეძიოთ, ჩვენ უბადრუკ სამშობლო-  
შიაც ბევრი გვაქვს და აი ღღეფანდღღმა ჩვენი  
ამხანაგობის გამგემ ერთხელ კიდეც დაამტკიცა ჩვე-  
ნებური ლოლიკის უფარვისობა.

მართალია წარსული წლის უკანასკნელ რიცხვე-  
ბში გახეთ „ივერიის“ პაროთ სარევიზიო კომისიამ  
გამოგვიცხადა საზოგადო კრებას თებერვალში მოვან-  
დენტო, მაგრამ, თებერვალი გავიდა, მარტიც გავის-  
ტუმრეთ, და აგერ აპრილმა თავი დაგვიკრა, კრება  
კი ჯერ არსადა ჩანს. წვერები უკმაყოფილებას აცხა-  
დებენ, საქმის გავება სურთ, დივიდენდს თხოულო-  
ბენ; თხოვნაც კი დასწერეს გამგესთან საზოგადო  
კრებისმოხდენის შესახებ, 1) მაგრამ სარევიზიო კომისიის  
წერილს შემდეგ თხოვნის მართმევა მეტათ ცნეს,  
რადგან ევონათ კომისია მაინც არ მოატყუებდა და  
თებერვალში საქმეს რამე ეშველებოდა. ავი ენები  
ამბობენ, ეთომ გამგეს 500 მანეთი გასესხებული  
უნდა ჰქონდეს ერთ თავის მოყვარეზე 5% აო. მო-  
ვალეს ფული იანვარში უნდა დაებრუნებია, მაგრამ  
რადგან ფული ვერ შემოუტანია, კრების დანიშნაც  
შეუძლებელიაო. რის დივიდენდი უნდა დაარიგონ,  
როცა ძირითადი თანხაც არა აქეთ?! რის ანგარიში  
უნდა წარუდგინონ საზოგადოებას, როცა კასაში  
არაფერი აქეთა?! გაისმის აქეთ იქიდან ხმა. ღმერთმა  
ნუ ჰქნას ეს ამბავი მართალი იყოს; ყოველ შემთ-  
ხვევაში ჩვენ ძრიელ გვაკვირებს საზოგადოების ასე  
აბუჩათ ავლება, ჩვენ ეთხოვთ სარევიზიო კომისიას  
გაგვაგებნოს: 1) თუ რა მიზეზით არ მოხდა, დაპი-  
რებისამებრ, თებერვალში კრება, 2) როცა იმათ  
რევიზია მოახდინეს, 500 მან. აკლდა თუ არა კას-  
სას? და 3) როდის ინებებენ და ღირს გავგზდინან  
თითოეულმა წვერმა ვიცოდეთ ჩვენი საერთო საქმის  
მდგომარეობა?!  
მკვიდრი.

1) ეს თხოვნა რედაქციას წამოუგზავნეს. ხელს  
აქვს 25 წევრი. რედ.

კვირიდან კვირამდე

იშვითი „პოდრუჩკი“ — შრომის დასა-  
წილება — სხვახანა რჩი — ნანატრი  
მოჩნდილობა...

სწორეთ რომ თილისმა ყოფილა ეს წარმომად-  
გენელობა, შემოდგა ფეხი თუ არა თფილისის ბან-  
კში, მაშინვე ჩვენი ქვეყნის კიდას კიდემდე მშვილო-  
ბა და საანობება დამყარდა. აღარც ტივებით მოკზა-  
ურობა, აღარც სადილ-ვანშობა, აღარც დაუსრუ-  
ლებელი „რეჩები“ და „დამა-კავალერები“ — ერთი  
სიტყვით არაფერი ძველებური, სულ ყველაფერი ახა-  
ლი და ჩინებული. აი, ამ კვირაში შეიკრიბა ქართლ-  
კახეთის თეად-აზნაურობა წარმომადგენელთა ასარ-  
ჩევთ. მარა ამ კრების ამბავს ნულარ მკითხავთ, ისე-  
თი საოცარი სანახავი იყო. უკანა რიგის სკამები  
კი სამაგალითოთ ცარიელობდენ, თუ კი, რა-  
საკვირველია ორიოდ გავითის კორესპონდენტს  
მხედველობაში არ მივიღებთ. მაშასადამე აქ არა  
არის რა საინტერესო, საინტერესო ამბები სულ  
წინ არის. აქ კი ისეთი ჩახურებული სიჩუმე სუფევს,  
რომ თქვენი მოწონებული. ყველას კმაყოფილების  
და თანხმობის ნიშანი ეტყობა. „მაჩაბელისტს“ და  
„ჭეჭეჭეჭისტს“ ერთმანეთისთვის „პოდრუჩკი“ გა-  
უკეთებიათ და ძველ საკმირო თეადდასავალს ბოდი-  
შთ იგონებენ: რა სულელი ვიყავით, რას არ ჩავ-  
დიოდით, ტკბილ სიტყვას და დამძობილებას რა ჯო-  
ბიაო. ასე ნანობენ ძველ ცოდვებს და განსპეტაკე-  
ბულ განბანილნი ერთმანეთს წარმომადგენელთ  
ათეთრებენ. ყველგან სიყვარულობა და ბოდიშია.  
ერთი სიტყვით ბედი კარზე მოგვიკორდა, აწი აღა-  
რაფერი გვიჭირს...

\* \*

მეტადრე ამიერიდან აღარაფერი გაუჭირდება ქუ-  
თაისის ეაჭრებს, ისეთი მფარველი და პატრონი მო-  
უპაუვებიათ. იქაური „ჭეშმარიტი ინტელიგენტები“,  
სულ გეარწმუნებდენ, რომ ქუთაისში არაერთარი  
კლასიური მოქმედება და შეგნებული ბრძოლა არ არ-  
სებობს, ვინკ არის ეს სულ „ბრბოა“ და მეტი არა-  
ფინაო. მარა ყველა ეს თურმე სასტუმრო, გარეთ გა-  
სასაღებელი მასლაათი ყოფილა, შინაობაში კი სხვა-  
ფერ მოუტახრაკებიათ საქმე. „ჭეშმარტი“ შრომა  
დაუყვიათ და რაც ერთისთვის ნება დაურთავთ, მეო-  
რისთვის აუკრძალავთ; მაგ. მწერალ „ჭეშმარიტმა“  
უნდა წეროს ერთი, ხოლო მოლაპარაკე „ჭეშმა-  
რტმა“ უნდა ილაპარაკოს მეორე, პირველის  
ერთიანთ წინააღმდეგი. მწერალნი ხომ, როგორც  
იციოთ, სუსტათვის იტანჯებიან, მოლაპარაკენი კი

სუსტებს ებრძვიან და მით მწერალთ ბოდვის ხდიან, აპტივეთ, წერას ჭკუა არა აქვსო. მწერალნი გაზეთით აცხადებენ: ჩვენი პარტიასთანა ორატორნი არც ერთ პარტიას არა ჰყავსო. მოლაპარაკენი კი თავის კლიენტთ უჩიჩინებენ: ჩვენი პარტიისთანა მწერლები არც ერთ პარტიას არა ჰყავსო. და ასე ერთმანეთს გუნდრუკს უკმევენ და სახელს უკეთებენ.

\* \*

და მართლაც, დიდათ სასახელო უნდა იყოს ქუთაისის „მწერალთათვის“ მოლაპარაკე თ. კ. ლორთქიფანიძის ლაპარაკი „აღების“ სასარგებლოთ და ნოქრების წინააღმდეგ. ამ ინტელიგენტთა ინტელიგენტს მთელი პოლიტიკო-ეკონომიური მოძღვრება გამოუფენია საბჭოში და ყველა ტვირთშიმე მის წინაშე დასაჩოქათ მოუწოდებია. აი, ეს მოძღვრებაც: მცნება პირველი — მუშა-კაცს რაც მეტი თავისუფალი დრო ექნება, მით უარესია მისთვისაც; მცნება მეორე — დასვენება რყენის ხალხს და ამიტომ საჭიროა ის ერთთავათ უღელში იყოს გაბმული; მცნება მესამე — მწერლობა და მწიგნობრობა გამოგონილა აღებისათვის, ამიტომ „ბიჭებს“ აეკრძალოს კითხვა და გონების განვითარება; მცნება მეოთხე — „ბიჭი“ რაც უფრო უეცია, მით უფრო მორჩილია, ამიტომ დაველოდო ქუთაისის ვაჭრებს თავის ნოქრები რაც შეიძლება მეტ უეცობაში ჩაიჭირონ; მცნება მეხუთე — ხოლო ყველა ეს ამაღლებს და ასებტაკებს თვით „ჩაჭერილთ“ და ამიტომ უარი ეთქვას ნოქრებს თავხედურ თხოვნაზე. აი, „ქვეშარიტთა“ მთელი პროკლამაცია, რომელსაც ხელი მოაწერეს 25 ხმოსანმა და ბულვარზე საყოველთაო საცნობლოთ გააკრეს. ვაჭრები აღტაცებულნი, ბულვარი ტაშს უკრავს, ნოქრები კი ისევ კარებთანა ატუხული და კვირაში რვა დღეს ერთ და იმავეს გაიძახიან: აქ მობრძანდით, იაფი, „ხაგრანიჩნი“... „ხაზინის“ სასარგებლოთ და სადღეგრძელოთო...

\* \*

სადღეგრძელებელი თუ ვინმეა, ისევე აკეთის საზოგადოება უნდა იყოს, რომელაც თავის მარცხთა ვისი დელიკანდი უფროსების სადღეგრძელებლოთ მოვლენილა სოფ. აკეთში. ბატონ-ყმობა, როგორც იცით, კაი ხანია მოისპო, მარა აკეთლები ჯერ კიდევ ბორკილში ყოფილან ჩაბმული და საითაც უბრძანებენ, იქით გადახტუნებენ. აი, მაგ. მათ უბრძანეს, თქვით რომ მასწავლებელი საციმბირაოა და მაშინვე ერთხმით დაიღრიალეს, საციმბირაოა, უბრძანეს, დაჰკა მაგას, დაამტვრიეთ ცხვირი და პირიო, და მაშინვე მიესივნ, და ცხვირ და პირს ვინღა ჩიოდა, სახლიც კინალამ ძირ-ბუღიანათ აუფორაქეს.

ერთი სიტყვით, ცემა-ტყევა, მოფერებ-მოხიყვარება, ქედის მოხდა და ფიანდახათ გაგება, სტუმარ-მასპინძლობა, მოსვენება — მუშაობა, მეტყველება და დადუმება, სწავლა-უსწავლელობა — სულ ყველაფერი ბრძანებით და თითის ქნევით სრულდება ამ ბედნიერ აკეთში. ნეტარ არიან აკეთლები! ამისთანა სოფელი გურიაში ოთხი-ხუთი კიდეც რომ იყოს, გურიაც გააკეთდებოდა და გურულებსაც ელირსებოდათ აკეთისებური განცხრომა და ნეტარება. ახლა კი ეს ბატონ-ყმობი „ბედნიერება“ მართო აკეთს დაუქვრია, ცხრა კლიტულში დაუმაღაეს და არას გზით სხვას აღარ ანებებს. კურთხეულ არს ბედნიერება შენი, მორჩილო აკეთო!...

\* \*




მენ ცდები, ბავშო, მწარეთ ცდები, ინანებ, ვიცი, თუმც გულის სჯერა შენი წმუდი გძმობა და ფიცი;

მაგნამ, თვალ-ღუჯჯვ; სამისო შენი ოცნება მალე თაღსებით მგლოვიანეთ შეიმოსება, რა მეგობარი თავისა ბედს გაგიზიანებს, და დაგანსკებს ზათმეფოთ გულის, თვისსა იანებს. შენ ხომ არ იცი რასა ჭკვიან ბრძოლა მარადის, უმედობა, ფიქრი, ფიქრი და სასე ლანდის, წუთს სიყვარულით ადგუნებუდი მისა თვალუბი, კვლავ სიძულვილში გუდი გძმობა ამონაგუბი, ეჭვი წარსულზე, კვლავ ეჭვი მომავლისა, ხან აყვავება, ხან დამობა მთა და ბაჩისა! შენ ჯერ ტუჩებზე დედის ვაგნა ისევ გატყვია, და სისარულის ცრემლი მშობლის, ვით ნაზი ის, დაწეს დატამაშებს, გააღწესებს მწრუნეულის ჩრდილი, არ გაგიცნია ცსოგრებისა შუი აჩრდილი. გაბრუნდი, ბავშო, ფრთა გაშლილა, თვალ-ღუჯჯვ მტრედო, არა, არ მინდა ჯოჯოხეთში ჩამოგანკლა!

ი. ევლოშვილი.

წერილი ბრიტუსელიდან.

სახალხო სახლი. 2 სა და 3-ს აპრილს (21 — 22 მარტს) ბრიტუსელის მუშათა პარტიამ დიდი ამბითა და ზემით იღვსასწაულა ახალი აკრეთ წოდებულ სა-



მაცვალებული, იესო მაცხოვრის გადმოხსნა ჯვრიდან.



ხალხო-სახლის (maison du peuple) გახსნა <sup>2)</sup>. დღესასწაულს დაესწრენ მრავალი დელეგატები, როგორც ბელგიის პროვინციებიდან, ისე უცხოეთიდან. პარტიამ აუარებელი მილოცვის დეპეშები და წერილები მიიღო ევროპის ყველა კუთხიდან.

შენობა დამჯდარია ერთ მილიონამდის, სწორედ დიდი ფულია იმათთვის, ვინც დღიური ქირით არსებობენ; და ეს ამოდენა ფული გამოიღო ბრიუსელის მუშათა კოოპერატიულ ამხანაგობათა ფედერაციამ. (ამ ფედერაციაში შედის ასსზე მეტი ამხანაგობა. წევრთა საერთო რიცხვი 17,000-ა. აწარმოებენ ოთხი მილიონის საქმეს). უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოთ ბელგიის მუშათა შორის ძრიელ განვითარებულია კოოპერატიული მომხმარებელი თუ მწარმოებელი ამხანაგობანი, მაგრამ კოოპერატიული ამხანაგობანი სრულგებობით არ შეადგენენ ბელგიის მუშათა მოძრაობის შინაარსს. აქაურ კოოპერაციას განსაკუთრებული ხასიათი აქვს. აქ კოოპერაციას ხმარობენ, როგორც საშუალებას თავისი აზრების გასაფრცხვლებლათ. ამ ამხანაგობათა უმთავრესი მოგება ხმარდება პარტიის ისეთ საქმეებს, როგორც არის: ჟურნალ-გაზეთების აუ ბროშურების გამოცემა და გაფრცხვლება, საარჩევნო ავტაციის წარმოება, მუშათა ნივთიერი დახმარება და სხვ. და სხვ.

მარა დაეუბრუნდეთ სახალხო სახლს. როგორც ვთქვით, ეს ერთობ დიდი, ოთხ სართულიანი შენობაა. სიმაღლე 27 მეტრი აქვს. ზედაგი დედა მიწის, რომელიც სახლს უჭირავს 1,555 ოთხ-კუთხი მეტრია. ფასადი (შენობის წინა მხარე) თითქმის შუშებით არის ქვეული. სულ ძირს სხვა და-სხვა სარდაფები და საქონლის საწყობებია. ყველა განყოფილებებს ანათებს გაზი. პირველ სართულში ყურადღებას იპყრობს ფართო ყაფახანა. იატაკის ზედაგი 300 ოთხ-კუთხი მეტ., — ქერის სიმაღლე 9 მეტ. თავისუფლათ იტევს 800 სულს. ზალასა და განიერ კორიდორ შუა აყვანილია მოძრავი კედელი, რომელიც საჭიროების დროს აიღება. ამავე სართულშია დიდრონი მალაზიები (საფართოლეულო, შეკერილ ტანისამოსის, ფეხსაცმელის, საბაყლო, საყასბო და სხ. და სხ.) ყველა ეს მალაზიები ერთი მეორისაგან განცალკევებულია. მეორე სართულში კიდევ რამდენიმე მალაზია და ამხანაგობის სხვა-და-სხვა მოხელეთა კანტარებია. მესამე სართულში მრავალი ზალაა სხვა-და-სხვა კრებებისათვის და ლექციებისთვის დანიშნუ-

ლი. ამავე სართულში მოთავსებულია დიდი ბიბლიოთეკა; აქვეა ფართო სამკითხველო ზალა. მთელი მეოთხე სართული უჭირავს ერთ უშველებელ ზალას, რომელსაც სადღესასწაულო ზალა ეწოდება (სიგძე 56 მეტ., სიგანე 16 მეტ.). ზალა მოწყობილია, როგორც თეატრის შენობა. წინ სცენა, ძირს პარტერი, ჩარიგებულია დაწული სკამები და წითელ ხავერდ გადაკრული სკამიკები. ზევით მთელ ზალას გარს უფლის რკინის ბალკონი ლოკებით დაყოფილი. ყველა ადგილებიდან შევნიშნათ ჩანს სცენა. ხმა სცენიდან კარგათ ისმის ყველა მხარეზე. ამ ზალაში ეტევა ორი ათასზე მეტი ადამიანი. ზალას გვერდზე აქვს თამბაქოს საწვეი და ლუდისა და ყავის სასმელი ფოიე. მეოთხე სართულს ზევით გაკეთებულია ტერასა (ბანი), რომელიც თითქმის მთელ ქალაქსა და ქალაქის მიდამოებს გადაჰყურებს. ტერასას გარს უფლის რკინის მოაჯირი. ყველა სართულს ანათებს ელექტრონი. საერთოთ, უნდა ვთქვათ, რომ მთელი ეს შენობა უბრალოა, უბრალო იმ აზრით, რომ ეს არ არის შემკული სხვა და-სხვა ქანდაკებებით, როგორც ბრიუსელის სხვა დიდი შენობები. არც სადმე მარმარილოს ხედავთ. უმთავრეს მასალათ რკინაა ნახმარები (სულ 300,000 კილო). დაგეგმიწყდა მხოლოთ გვეთქვა, რომ ზოგიერთ ზალაში, რომელთა საერთო რიცხვი 40-დია, დიდრონი, ტილოზე დახატული სურათებია დაკიდებული, ყველა საგულისხმო და დამაუიქრებელი შინაარსისა. მაგ. ერთ ზალის კედელზე ასეთ სურათს ხედავთ. დახატულია ორი ოჯახობა, ორგანვე სუფრაა გაშლილი; ერთ მხარეზე ძვირფას სამოსელში არიან გამოწყობილნი. სუფრაზე რაგინდა სულო და გულო რომ არ იყოს. მრავალ-გვარი საქმელები, ათასნაირი, ხმელი და ნედლი ხილეულობა, სხვა-და-სხვა გვარი სასმელები. სუფრაზე თუმცა ადგილი აღარ არის, მარა მოახლეს კიდევ მოაქვს რაღაც საქმელები. ყველას უზომოთ გამძღარ ადამიანის გამომეზუყველება აქვს, ყველას სახეზე კმაყოფილების ღიმი უჭრის. ერთს კიდევ ჩაძინებია. ხელიდან ვარდება შამპანიური ღვინით საფეე ჭიქა. მეორე მხარეზე, დაგლეჯილ-დაკანკებულ ტანისამოსში არიან გამოხვეულნი. სუფრაზე ორი ბოლოკი გდია. მამას, რომელსაც აქეთ იქიდან ლილიპანა, ტიტველ-შიშველი ბავშვები ებლაუტებიან, ცალ ხელში პურის ნატეხი უჭირავს, მეორეში დანა. უნდა პური ყველას გაუნაწილოს, მარა ჰხედავს, რომ ეს ნატეხი ვერ გაძლებს იმის დამშვეულ ჯალაბობას და გაშტერებული, საზარლათ იცქირება. იმის პირ-და-პირ ზის დედა; გადაღვლილ გულზე ძუძუთა ბავში მიუყრავს და ძუძუს აწოგებს.

<sup>2)</sup> ბრუსელში სახალხო სახლი აჩსებობდა 1888 წლიდან. მაგრამ ეს თავის სიმატარავის გამო კვლავ აკმაყოფილებდა მუშათა მარტიის გაზდილ მოთხოვნილებებს.

სალამოს 7 საათზე დარბაზში გაიმართა წარმოდგენა. ითამაშეს სამი თითო მოქმედებიანი პიესა, სამივეს შინაარსი აღებული იყო მუშათა ცხოვრებიდან. როცა ერთი პიესა ითამაშეს, შევეცრთხე ჩემ გვერდზე მჯდომ ცილინდრიან პროლეტარს: Compagnon! <sup>3)</sup> ნუ თუ ყველა ეს მოთამაშენი უბრალო მუშები არიან? - რასაკვირველია, ღიმილით მიპასუხა მან, არამც თუ მოთამაშენი, თვით ამ პიესის ავტორიც უბრალო მუშაა. აი, ავერ თვითონ ავტორი—მიმითითა ერთ, ცოტა მოშორებით მდგომ მუშაზე, რომელსაც ამხანაგები ულოცავენ: შენმა პიესამ კარგათ ჩაიარაო... წარმოდგენა გათავდა 10 საათზე. თეატრიდან ხალხი წამოვიდა მახლობელ მოედანზე, სადაც მთელი არე-მარე განათებული იყო ბენგალის ცეცხლით. აქ უკვე მრავლათ იყო ხალხი თავ-მოყრილი. ესენი სიმღერითა და მუსიკით ერთობოდნენ. ცოტა ხანს შემდეგ დაიწყეს შუშხუნების აშვება. მთელი ერთი საათის განმავლობაში ათას გვარი და მრავალ-ფეროვანი შუშხუნების ჭანჭან-გრიალი ნამდვილ ომის ილლიუზიას ახდენდა. დასასრულ მუსიკამ დაუკრა მარსელიეზა და ხალხი დაიშალა.

სრულსული.

დ. დ.

### მცირე შენიშვნა.

მთავრეს მისდები ეკონომიკების დრო თუ არა, უკვე მსრდინ გაისმის გოდება, რომ გონკუქსას წყალბით უმეტესი ნაწილი მთსოკნელთა არ სდებთან დიქსი რომელიმე საშუალო საჩისის სასწავლებელში შესვლისათ. ეს გოდება მეტათ მწკაკუა ჩვენ იმერელთათვის. თითქმის მილიონზე მეტ მტსოკნებს ქუთაისის გუბერნიასში ორი კლასიკური გიმნაზია, ერთი სასულიერო სემინარია, ერთი რეალური გიმნაზია და ერთიც სამასწავლებლო სემინარია გვაქვს. ჩვენი ხალხი სსვა და სსვა მიზესების გამო უმეტესათ კლასიკურ გიმნაზიებს ეტანება.

ამ ორი წილის წინათ თუმცა ბათუმის გიმნაზია გასსნილ იქმნა, მაგრამ (როგორც ჩემ მიერ „კვალში“ მოყვანილ ანგარიშიდან ჩანდა), მას თითქმის არ შეუძლებია მთსოკნელთა რიცხვი ქუთაისის გიმნაზიაში. ამ მსრიკ ნაქლის შესასვლელათ სონელებმა განიზსასეს კერძო, უფლებიანი გიმნაზიის გასსნა. ვთსოკეთ კვაკასიის სამსსწავლო ოქქის მსრუნკელსაც და მასუსათ მივიდეთ:

<sup>3)</sup> აქ მუშათა შორის არ არს მიდებული monsieur (ბატონო), არამედ compagnon! (ამხანაგო) ან citoyen! (მოქალაქე). მუშათა ყავასანაშიაც ლაქიები ვკვლას ასე მიმართავენ.

თუ გი შეიძლებთ სსჭირო ფულის შეკრებას (30000 მსწ) სულით და გულით დაგეგმარებითო. ამ სსგნის გამოსარკვევით აქაურ ამოჩქულ შინთ კრება მთასდინეს 1897 წ. სსფრუღში და ამოიჩნიეს კამიტეტი, რომელსაც დაავალეს წყაროს და საშუალების გამოსსვა. ამას შემდეგ ორი წელიწადი გადის და კამიტეტიც არაფერი ისმის, თუმცა მართლდა ასეთ სსქეში ორი წელიწადი დიდი დრო არ არს, მაგრამ მაინც კარგს იზამდენ მსტიკეტიული კამიტეტის წვერები, თავიანთ მოდგაწუთასს გასწნობდენ სსზოგადობას ამით შეიძლება ხალხს გასსხუნდეს უკვე დავიწყებული კამიტეტის არსებობა, სსჭიროა. გაავწნოთ სსქმის კითარებას და იქდაც ცსოკულ მონაწილეობას მიიდევენ. იმედი მაქვს ჩემი წერილი არ დაჩნება; სმათ მდადნდებლის უდაბნოსა შინა.

შავია—და.


### მთავრობის მიერ გადმოცემული ამბავი.

სტუდენტების მოძრაობის შესახებ.

წარსულ 8 თებერვალს მოხდა პეტერბურლის უნივერსიტეტში სტუდენტების არეულობა. ამ არეულობას თანაუგრძნო ყველა დანარჩენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა, როგორც პეტერბურლისამ, ისე მთელი იმპერიისამ. არეულობის გამო უნივერსიტეტი დაიხურა და მრავალი სტუდენტი დათხოვნილ იქმნა.

ხელმწიფე იმპერატორმა მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და 20 თებერვალის დანიშნა საზოგადოთ ამ საქმის გამოსაძიებლათ ლენერალ-ადიუტანტი ვანოესკი. სტუდენტებმა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების მოწაფეებმა დიდი თანაგრძნობით მიიღეს ეს ამბავი ხელმწიფე-იმპერატორის მოწყალებისა და იწყეს დამშვიდება. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ პეტერბურლის სტუდენტებს მოუვიდათ კიევიდან წერილობითი ვანცხადება ერთი საიდუმლო დაწესებულებისაგან, რომელსაც სახელათ „კიევის საკავშირო რჩევა“ ჰქვია. ეს საიდუმლო რჩევა უცხადებდა სტუდენტებს სხვა-და-სხვა უნივერსიტეტში გაგზავნილი მიწერილობებით საყვედურს, მოძრაობა ასე უცებ რათ შეაჩერეთო. ამ საიდუმლო მიწერილობებმა დიდი გავლენა იქონიეს სხვა-და-სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებელთა მოწაფეებზე, როგორც პეტერბურლში, აკრეთვე მოსკოვში, ვარშავაში და სხვაგანაც.

პეტერბურლში ამის გამო არეულობა განმეორდა და კიდევ გაძლიერდა. 16 და 17 მარტს უნივერსიტეტში ორი დიდი კრება მოხდა, პირველს 1000 კაცი დაესწრო, მეორეს—1400. ორივე კრებაზე გადაწყვიტეს, ლექციებზე ნულარ ვევილით, სა-



ნამ ჩვენ გამორიცხულ და სამშობლოში გაგზავნილ ამხანაგებს უკანვე არ დააბრუნებენ და ამნაირათ საერთო წინააღმდეგობა გაუწიოთ მთავრობასო.

18 მარტიდან გამოვიდა დღიური წერილობითი ფურცლები, რომლებშიაც სტუდენტებს აცნობებდნენ, თუ რა მდგომარეობაში იყო სტუდენტებთა მოძრაობა. ამვე დროს დაარსდა მოთავე კომიტეტი და რადგანაც უნივერსიტეტში სხდომების მოხდენა აკრძალული იყო, კრებები ახლა სტუდენტების სასაბუღალტრო დარბაზში ხდებოდა. სტუდენტების მოთავე კომიტეტმა ახალ ახალი დაბეჭდილი ფურცლები გამოსცა, რომლებშიაც ყველა უმაღლეს სასწავლებელთა მოწაფეებს ურჩევდა, რომ ერთობა არ დაერღვიოთ და უმჯობეს პოლიტიკურ ცვლილებათა შემოღების შესახებ ბრძოლა განეგრძაოთ.

მთავრობამ ამ დაბეჭდილ განცხადებებს დიდი ყურადღება მიაქცია, ჩაუდგა კვალში მოწინააღმდეგებს და ღამით 20 და 21 მარტს ყველა ის სტუდენტები დაატყვევა, რომლებიც მოძრაობის მოთავე კომიტეტს შეადგენდნენ. ამ სტუდენტებს სახლებიც გაუჩხრიკეს და უნახეს: მრავალი განცხადებანი ურთიერთ დამხმარებელ კასისა და მოთავე კომიტეტისა და დიდი მიწერ-მოწერა, რომელიც სტუდენტების მოძრაობას შეეხებოდა; ამას გარდა უნახეს კომიტეტის და კასის მიწერ-მოწერა, კასის წევრების სია, კრებაზე მოსაწვევი ბარათები, კასის ანგარიშები და შეიკრებნენ, ერთი პატარა კოლოფი სამი საშტემპელო ბეჭდით, (ერთი—კასისა იყო, და ორი—კომიტეტის.) აგრეთვე უნახეს გექტოგრაფი, რომლითაც ბეჭდადენ განცხადებებს და ბარათებს, 250 რევოლიუციონური წიგნაკი, 1896 წელს აღმოჩენილ საიდუმლო სტამბაში დაბეჭდილი და რამდენიმე სხვა რევოლიუციონური განცხადებანი.

იმ სტუდენტს, რომელიც 17 მარტს მოძღვარ კრებაზე თავმჯდომარეობდა, ქუდში უნახეს საიდუმლო რევოლიუციონური გაზეთის „მუშათა აზრი“-ს ორი მეოთხე ნომერი და ერთი მეხუთე.

როგორც კი პირველი კომიტეტის წევრები დაიჭირეს, მაშინვე შედგა მეორე კომიტეტი. 22 მარტს გავრცელდა პეტერბურღში კიევის საკავშირო რჩევის ახალი მოწერილობანი, რომლებშიაც რჩევა პეტერბურღის სტუდენტებს საყვედურს უცხადებდა, როგორ დაგეძარათ, ასე უცებ როგორ გამოაქვეყნეთ რევოლიუციონური განზრახვა მოძრაობისაო. 24 მარტს ერთ სტუდენტის სადგომზე დაიჭირეს მეორე მოთავე კომიტეტის წევრები, (8 კაცი) იქვე ნახეს შავთ დაწერალი განცხადებები, რომლებიც სტუდენტებს მეორე დღეს უნდა დარიკებოდათ მოძრაობის დროს ხელსამძღვანელოთ.

დაატყვევეს თუ არა მეორე მოთავე კომიტეტის წევრები, — მაშინვე შედგა ახალი მესამე მოთავე კომიტეტი. 29 მარტს მესამე მოთავე კომიტეტის წევრებიც დაატყვევეს და მათთან ერთათ — კ დევ თუთხმეტი კაცი, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ სტუდენტებზე. მთელი სტუდენტები დათხოვნილათ ჩარიცხეს და მთავრობამ გამოაცხადა ვისაც ხელ ახლავ უნდა უნივერსიტეტში შემოსვლა, თხოვნა ხელახლავ უნდა შემოიტანოსო, ხოლო უნივერსიტეტის მთავრობაზე იქნება დამოკიდებული ვის მიიღებს და ვის არაო.

18 მარტს პეტერბურღის უნივერსიტეტს მიჰყვა ტენზოლოგიური ინსტიტუტი, იქაც მოხდა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა, რომლის გამოც ოც მარტს დაიხურა ინსტიტუტი და სტუდენტები დათხოვნილ იქმნენ იმავე წესით, როგორც პეტერბურღის უნივერსიტეტში.

17 მარტს დაიწყო მოძრაობა უმაღლეს სატყეო ინსტიტუტში. მას მიჰყვა სამთო ინსტიტუტიც, ამ სასწავლებლებშიაც სწავლა შეჩერდა და სტუდენტებიც დათხოვეს იმნაირათვე, როგორც უნივერსიტეტში.

პეტერბურღის უნივერსიტეტის მოძრაობას თანაკრძობა განუცხადეს ყველა დანარჩენ ქალაქების უმაღლესმა სასწავლებლებმა, მოსკოვისამ, კიევისამ, ოდესისამ, ვარშაისამ, დორპატისამ, ყაზანისამ, ხარკოვისამ და ტომსკისამ, აგრეთვე ახალი ალექსანდრიის სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტმა. ყველა ამ ქალაქებში სტუდენტებთა შორის მოთავე კომიტეტები დაარსდა, რომლებიც სტუდენტების მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ და სხვა უნივერსიტეტებს მოთავე კომიტეტებთან მიწერ-მოწერა ჰქონდათ. ამათი თაოსნობით ყველა უნივერსიტეტებში შეწყდა ლექციების კითხვა და ყველანი ერთი პროგრამით მოქმედებდნენ რომ დათხოვნილი სტუდენტები უკანვე მიეღოთ და უნივერსიტეტის წესდებას საუმჯობესოთ შეეცვალათ. აგრეთვე ითხოვედნენ კვლავ უნივერსიტეტის მთავრობას უუღებო აღარ ჰქონოდა განუსჯელოთ და გამოძიების მოუხდენლოთ სტუდენტების გაგზავნისა და კანონათ შემოვლოთ უნივერსიტეტში ყოველი მსურველის მიღება მიუხედავთ მისი სარწმუნოებისა და ეროვნებისა. განსაკუთრებით მხნეთ მოქმედებდნენ კიევისა და ვარშაის სტუდენტები, რომლის მოთავე კომიტეტებიც ყველა დანარჩენ უნივერსიტეტის სტუდენტებს აქეზებდნენ წინააღმდეგობის გასაწევათ — წერილობითი განცხადებების რღვევების ყოველ ქალაქში დაგზავნიოთ. კიევის უნივერსიტეტის მოძრაობაში პირველი ადგილი ეჭირა „თანამემამულეთა და სხვა-და-სხვა ეროვნებათა საკავშირო რჩევას“, რომელშიაც უმთავრესი გავლენა



ნა პოლონელებს და ურიებს ჰქონდათ. შესანიშნავია სხვათა შორის ორი წერილობითი დადგენილება ამ რჩევისა. პირველი გაუგზავნეს მ მარტიდან პეტერბურლის უნივერსიტეტს, რომელშიაც საყვედურს უცხადებდნენ პეტერბურლის სტუდენტებს იმის გამო, რომ ისინი თავისსავე პროგრამას ვალდებულნი და დივიწყეს თავისი მოთხოვნილებანი უფლებების გაფართოების შესახებ, რომლის გულისთვისაც დასახმარებლათ სხვა ქალაქის უნივერსიტეტებშიც მოიწვიეს. მეორე დადგენილებაში საკავშირო რჩევა აცხადებდა უნდა მოეთხოვროთ გაგზავნილი ამხანაგები ისევე უკან დაგვიბრუნონ უნივერსიტეტშიც, ამასთანავე მოსკოვის სტუდენტობას თხოვდა, როგორც სატანტო ქალაქის სტუდენტებმა იკისრეთ მეთაურობა ამ საერთო მოძრაობაშიც.

რადგან საზოგადოთ მთავრობისაგან ნებადართული იყო ყველა უნივერსიტეტების სტუდენტებს ხელ ახლავ თხოვნა გაეგზავნათ თუ ისევე უნდოდათ უნივერსიტეტებში შესვლა, — თავის დროზე ყველა ქალაქებში სტუდენტებმა თხოვნა შეიტანეს; მთავრობამ კი ყველა თხოვნა არ შეიწყინარა, სტუდენტების ერთი ნაწილი მაინც სრულიად გამორიცხულათ ჩაითვალა; ზოგს ნება მიეცათ ერთი ან ორი წლის შემდეგ ისევე შებარებულნიყვენ, ზოგს კი სამუდამოთ აეკრძალა.

მთავრობამ გამოაცხადა: თუმცა უნივერსიტეტებში სტუდენტების მოძრაობაში მხოლოდ უმცირესი ნაწილი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, მაინც დიდ ძალი სტუდენტობა უნდა გამოგვერიცხა, რადგან ისინი არაფრის ნაირათ არ თანხმდებოდნენ ლექციების მოსმენას და სხვასაც უშლიდნენ ხელსო. ასეთი ზომა ამიერიდანაც ყოველთვის მიღებული იქნება, რადგან მოსწავლეთა თხოვნით შეუძლებელია უნივერსიტეტებს წესდებანი, კანონები და დაწესებულებანი შეიცვალოს, აგრეთვე შეუძლებელია უნივერსიტეტებში ლექციების კითხვის და ეგზამენების დრო გამოიცვალოს. თუმცა ასეთი ზომა მთავრობის მიერ მიღებული, მაგრამ იმათ, ვინც ახლა გამორიცხული არიან, თუ გონებას მოეგებიან, შეუძლიათ კვლავ შემოვიდნენ უნივერსიტეტში ეგზამენების დასაჭერათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეინანებენ თავის უწესო ყოფაქცევას. რაც შეეხება იმ პირთ, რომელნიც ცდილობდნენ ახალგაზღვრება მთავრობის საწინააღმდეგო გზაზე დაეყენებინათ და ვის მოქმედებასაც სამოსწავლო საგანთან არაერთი კავშირა არ ჰქონდა, ისინი უეჭველათ კანონის ძალით იქნებიან დასჯილნი.

ეს იყო ჩვენი იმედები?!


(სურათი ნაცნობის ცხაკაქობიდან).




ილის ოთხი საათია. განთიადი ანათებს. მაისის საამური ღამე ეს ეს არის წუთისოფელს გამოეთხოვება და მალე მის ადგილს დღე დაიჭერს...

მატარებელი ხმაურობს, ცეცხლს ისვრის, მიჰქროლავს. ვაგონებში თან-და-თან სიჩუმე ირღვევა, ხალხი იღვიძებს. აგერ სადგურის მიახლოვების ნიშნათ მატარებელმა დაუსტენია, სიარულს მოუკლო და პატარა ხანს შემდეგ სულაც შეჩერდა. მცველმა ზარი დაჭრა, ამით ამცნო მოგზაურებს წასვლის დრო მოვიდა, მიბრძანდითო. პირველ ზარის დაკრას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. მატარებელმა ხელ-ახლა დაუსტენია და გასწია. ზარის ხმაზე და ლოკომოტივის სტვენაზე სხვათა-შორის დათიკოსაც გამოეღვიძა. „გათენებულა“-ო წამოიძახა. წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გააღო იგი და აქეთ-იქით ცქერა დაიწყო. უცრათ მას სიხარულით გული აუძგერდა, შეუთამამდა. მის წინ გაშლილიყვენ ათას ფეროვანათ აფერადებულ-აჭრელებული ქალები. შუა ქალებზე შუილხულით მიბრბოდა მდინარე. მის ხმაურობას ბანს აძლევდა მთა-ბარი... ქალებს იქით იწყებოდნენ გორაკები. გორაკებს იქით ამართულიყვენ სალი კლდეები. ხეები მწვანით შემოსილიყვენ. მინდვრათ და მთათ ბალახი აბიბინებულისყო. ვარდ-ის სუნი არემარეს ატკობდა. ფრინველები სტვენდნ, გალობდნ, ხმაურობდნ. ნამეტანი სიხარულით სალი კლდეები ცრემლებსა ღვრიდნ. ბუნება მხარაულობდა და დღის ღამეზე გამარჯვებას დღესასწაულობდა... ამ სურათმა მოაგონა დათიკოს თავის პატარა, მაგრამ დიდ ბუნოვანი სოფელი. მოაგონა მშობლები, ნათესავეები, პატარა მეგობრები, წარსული იმედებით სავსე ცხოვრება, შეადარა იგი აწმყოს და ერთი მწარეთ წამოიძახა: „ჰმ!.. ეს იყო ჩვენი იმედები?!“

დილის შეიდი საათი სრულდებოდა. მატარებელი სადგურ მ... შეჩერდა. ხალხი აირია. ზოგი ვაგონებიდან ძირს ჩამოდიოდა, ზოგი კი ვაგონებში არბოდა. წამსვლელ-გამყალი, მომსვლელ-დამხედური ყველა ერთმანერთში ირეოდა. სადგურის მოსამსახურეები კი თავისთვის ცალკე შეჯგუფულიყვენ და არავის არ ეკარებოდნენ. უმეტეს ნაწილათ ერთ ადგილს იღვენ. თუ ოდესმე გაივლ-გამოივლიდნ, რეტ დასხმულსავით წაბორძიკობდნ. უძილობით ფერი დაჰკარგოდათ, თვლები დასივებოდათ. მათი სიცოცხლეს მოკლებული მდგომარეობა მოგზაურების ყურადღებას იქცევდა. ყველაზე უფრო კი დათიკოსას. იგი შესცქეროდა მათ დაღვრემილ სახეს, იტანჯებოდა მათთან ერთათ და თანვე ფიქრობდა: გეტყობათ,





საცოდავებო, დღიური ლუკმის ძებნა-შოვნას გაუმწარებინართ; ეტყობა ის დაწესებულება, სადაც თქვენ მსახურობთ, და თქვენი მთავარ პაპები სარგებლობენ თქვენი გაჭირვებით, თქვენი შრომით ჯიბებს იტენიან, მხარტეძოზე წამოწოლილნი მღერულათ ცხოვრობენ, თქვენ კი ორი გროშისათვის აუტანელ ჯათას გაყენებენ, ნიჰს გონებას გიხშვენ და თვით სიცოცხლეს უდროოთ გისპობენ. 1) ეჰ! საცოდავებო, ვინ იცის ეგებ თქვენც სხვა რამეს მოელოდით ცხოვრებაში, თქვენი იმედებიც სულ სხვა იყო“.

„Второй звонок“! დაიძახა ხმა მალლა სადგურის უფროსის თანაშემწემ. მცველმა დაუყოვნებლივ აასრულა უფროსის ბრძანება. დათიკო ახლა იძულებული იყო მათი ცქერა შეეწყია. თავის ადგილი მოეძებნა. ორ წამს შემდეგ მესამეც დარეკეს. მატარებელი დაინძრა... მირბის მატარებელი, მიჰქროლავს დათიკოც; მისი აზრი და გონება კი არ ინძრევა, ერთ ადგილს დგას, სადგურის მოსამსახურებთან დარჩა. მას თვალწინ უდგია მათი დაღვრემილი, უფერულ-უსიცოცხლო, შეწუხებული სახე და მოსვენებას არ აძლევს... მირბის მატარებელი, ხმაურობენ ვაგონების ბორბლები, ჰქმინავს ლოკომოტივი და მასთან ერთად ჰქმინავს დათიკოც, მისი გული თან-და-თან ღონდება: გაიარეს ერთი სადგური, მეორე, მესამე, მეოთხე, მაგრამ არაერთარი კარგი ცვლილება არ უნახავსთ, ყველგან ტანჯვა-წვალება, ყველგან უსიცოცხლობა ინატებოდა სადგურის მოხელეების სახეზე..

დილის ცხრა საათი სრულდებოდა. მატარებელი სადგურ კ... შეჩერდა. ცოტათი სურათი შეიცვალა. ღამე ნათევი მორიგეები დასაძინებლათ მიეჩქარებოდნენ თავთავიანთ ოთახებისკენ. მათ მაგიერ დასვენებულებმა მიიღეს მორიგეობა. მართალია მათ

1) ეს სურათი იმ ხანას შეეხება, როდესაც რკინის გზაზე 24 საათის მორიგეობა ანუ „დეჟურნობა“ იყო, ჩვეულებრივ დღის 9 სათზე მიიღებდით „დეჟურნობას“ და მეორე დღის დღის 9 სათამდის უნდა ყოფილიყოვით მიჯნველი სადგურის კედლებზე, ერთი საათის დაძინების ნებაც ან გქონდათ, შემდეგ 24 საათი თავისუფალი იყავით, მხოლოდ პირველ დღეს დაქანტულს ეს დრო ძილში უნდა გაეტარებინათ. ამნაირათ თქვენი ცნობრება გადიოდა „დეჟურნობაში“ და ძილში, რომელიც ძალიან ასუსტებს ადამიანის ჯგუხს და სიძთქელს.

სახეზედაც ბევრი რამ სანუგეშო არაფერი ამოიკითხებოდა, მაგრამ პირველთაგან მანც განიხილდნ... „დათიკო შენ?“ მიიძახა წითელ ქუდში გამოქიმულმა სადგურის უფროსის თანაშემწემ.

„მე კი დათიკო, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით“ იყო პასუხი.

„არა გრცხენია, შენი მეგობარი კოტე ველარიცანი?“ შეეკითხა პირველი...

შემდეგ ამისა დათიკო და კოტე ერთმანერთს გადაეხვიენ, ერთმანერთი გადაკოცნეს.

„ღმერთი იყოს მოწამე“, დაიწყო დათიკომ: „შენმა ნახვამ საშინლათ გამახარა. თუგინდ მკედარი ძმა გამცოცხლებოდეს, მეტათ არ მესიამოენებოდა. მაგრამ შენმა წითელმა ქუდმა, შენმა სამსახურში შესვლამ, ისიც რკინის გზაზე, გული მომიხაშმა. ნუ თუ შენი ნიჭი, შენი ბუნება სამსახურს შეეთვისა? სად წავიდნ შენი აზრები? შენი თავისუფლების მოყვარეობა? ევ იყო შენი ქადაგება? ეს იყო ჩვენი იმედები?“ დაათვა აღლელებული ხმით დათიკომ.

„დამშვიდდი, ძმაო!“ მიუგო კოტემ: „მატარებელი გავისტუმროთ, ყველაფერს გაიბობო!..“

„მე რომ მივალ?“ შეეკითხა დათიკო.

„თუ ჩემი ამხანაგობა გახსოვს, დარჩი დღეს ჩემთან!“ შეეხვეწა კოტე.

დათიკო დათანხმდა. ვაგონში შებრუნდა, თავისი ამანათები გადმოიტანა. მალე მატარებელი თავის გზას გაუდგა. დათიკო და კოტე ერთად დარჩნენ. უხაროდათ მათ ერთმანეთის ნახვა. ტკებოდნენ ერთმანეთის ცქერით და დიდხანს დადიოდნ ხელი-ხელ ჩაკიდებულები.

„მაშ კმაყოფილი ხარ შენი დღევანდელი მდგომარეობით?“ ჰკითხა ბოლოს კოტეს დათიკომ.

„გეთიცები გამჩენს, ათასჯერ არა“ მიუგო კოტემ.

„მაშ რათ შედი სამსახურში?“

„მისთვის რომ მაიძულეს, ძალა დამატანეს“.

„ვინ?“

„ვინ და საზოგადოებამ, გაჭირვებამ, მდგომარეობამ“.

„როგორ, რანაირათ?“

„აი რანაირათ: იმ წელიწადს, როდესაც შენ ქ... გიმნაზიაში სწავლას თავი დაანებე და ხ.. გიმნაზიაში გადახვედი, მე მეშვიდეში გადავედი. ჩემდა

საუბედუროთ აქ დიდხანს აღარ დავრჩენილვარ. ნ ქრისტეშობისთვის ავით გაეხდი... თუმცა ჩემი სენი ადვილათ მოსარჩენი იყო, მაგრამ ხომ გახსოვს ჩვენი ექიმ-ს რეცეფტები? თავი გეტკინებოდა, ხელი, ფეხი, თუ სხვა რამე სულ ერთი იყო მისთვის. მაშინვე ხინას გამოგიწერდა... არამც თუ ჩვენი ექიმი, ხომ იცი საზოგადოთ რანაირათ ეკიდებიან ჯამაგირიანი ექიმები საცოდავ ავთამყოფებს. პირუტყვს უფრო გულ მტკიენეულათ ეპყრობა გონიერი პატრონი, ვინემ ისინი ავთამყოფებს!..

ჰო! ის მინდოდა მეთქვა, ყურადღება არ მომაქცია მეთქი;—ავთამყოფობისათვის ერთი წამიც ბევრს რასმე ნიშნავს თურმე,—გამიძნელდა, კინალამ სული დამალეფია... ვინ იცის, ეგების ფული რომ მეძლია, სხვანაირათ მომქცევოდა!.. ისევე კერძო ექიმებმა მიშველეს, თუმცა კაცმა რომ სწორე თქვას, ვერც ისინი იქცეოდნენ ხან და-ხან რიგიანათ. თუ ვინიცო ბაა რაიმე მიზეზის გამო ერთი „ვიზიტის“ ფულს ვერ მიიღებდნენ, მეორე დღეს აღარ მოვიდოდნენ. უნდა ბინაზე მიეტანათ და დიდი ხეფუნა-ბოდიშის შემდეგ მნახავდნენ ხოლმე.. რა გაეწყობა, რახან სიკვდილს გადამარჩინეს.. თითქმის ორ წელიწადს ლოგინში ვიწეკი. ჩემი ექიმობა ჩემ მშობლებს ძვირათ დაუჯდათ. ადგილ-მამული გაყიდ-გამოყიდეს. გალარობდნენ. სასწავლებლიდან გამომიყვანეს.. ბევრი ვიფხაკურე, თუმცა რას გავაწყობდი... ერთ ხანს კიდევ მქონდა იმედი, მაგრამ ოჯახის მდგომარეობა უკან-და-უკან წაეიდა და მეც იძულებული შევიქენი სამუდამოთ გამექარწყლებია იგი, სხვა რამე მედონა...“

„მერე საზოგადოება სად იყო?“ გააწყვეტია დათიკომ.

„თუ ძმა ხარ მაგის შესახებ ნურაფერს მეტყვი. განა იმას ჩემთვის ეცალა?!“ მიუგო კოტემ: „იმას სხვისი ჭირი ჩრათაც არ მიანია. მისი შრომა, მისი მიმართულება, იმაში იხატება, რომ რაც შეიძლება თავის ჯი„ეში მეტი ჩატენოს, კარგი ჭამოს, კარგი სვას, რბილ ლოკინზე იკატრიალოს, კარგა ჩაიცვას, დაიხუროს, დროება გაატაროს, უფრო წინ გადაგელობოს,—ხელი შეგიშალოს, ვინემ მოგეხმაროს, შენთან საქმე მხოლოთ მაშინ იქონიოს, თუ მდიდარი ხარ, რომ რამე ჩამოგაძროს, მუდამ გდევნოს და სხვა არაფერი.“

ჩემ სოფელში სკოლა გავადე. ვფიქრობდი კე-

თილი შრომით კოტა რამ სარგებლობა მომეტყობოდა ლარიბი მეზობლებისათვის, თავიც მერჩინა და ოჯახსაც შეეწვოდი. მაგრამ არც აქ გამიმართლდა იმედები. მათ არ მოწონდათ ჩემი პათიოსნური შრომაცხოვრება. გულით და სულით ცდილობდნენ მეც მათსავეთ დამეცა სასამართლოში ბინა, მათი ამხანაგი გამმხდარეყავი. მაგრამ, როდესაც ეს სურვილი ვერ აისრულეს, დამიწყეს დევნა ლ ბოლოს იმდენი ჰქენს, რომ მიიძულეს მათ მოეცილებოდი, სკოლა მიმეტოვებია, დამეხურა. რალა ბევრი გაგიგბრძელო, ერთ ხანს ხვედრს გაუემქლაედი, მაგრამ შიმშილმა თავისი ქნა და მოულოდნელათ მეც რკინის გზაზე ამოეყავი თავი... ხომ გაგიგონია, „გაჭირებია მაჩვენე, გაქცევას გაჩვენებო“!..

და ვინ გინდა აქ რომ არ მსახურებდეს? უეციცი, მკოდნე, სულელი, ჭკუიანი, კარგი ხასიათის მქონე, გარყენილი, პილატეს ტრემლის მეგობრებით ხომ აქაურობა სავსეა! მთელი ეს ურდო ერთმანეთშია არეული, ყველას ერთი ფასი აქვს... ხშირათ ხედავ, რომ შენი უფროსი ყოველი მხრით შენზე დაბლა დგას, მაგრამ რას იქ? გიჭირს—უნდა ემორჩილო, სისულელეს როშავს, უნდა დაუჯერო ან და იცინის, შენც უნდა იცინო, ტირის, იტირო, თუნდა შენი სულის მდგომარეობა ამ დროს სულ სხვა რასმეს თხოულობდეს. შემდეგ ამისა განა შეიძლება კმაყოფილი ვიყო ჩემი დღევანდელი ხვედრით?!“ დაათავა ოხერა-კენესით კოტემ.

წარსულის მოგონებით მის სახეს უსიამოვნება დაეტყო. იგი წყველიდა ბედს, გაჩენას, თვის აწმყოს და ნაღელიანათ ეკითხებოდა თავის თავს, ეს იყო ჩვენი იმედები?!

სალამომდის კოტე და დათიკო ერთათ საუბრობდნენ. ექვს საათზე მატარებელი მოვიდა, დათიკოს ახლა კოტე უნდა დაეტოვებია, თავია გზას გადაგომოდა. ქ. ბ... ამხანაგების წერილი მიეღო, იქით მიეჩქარებოდა. მცველმა ორჯერ დაჰკრა ზარას. დათიკომ და კოტემ ერთმანეთი გადაკოცნეს, ერთმანეთს გამოეთხოვენ. დათიკო ვაგონში შევიდა. ამ დროს მესამეთ დაჰკრეს ზარას. მატარებელმა დაუსტენა და გასწია. მირბის მატარებელი, მიჰქროლავს დალონებული დათიკოც და ხშირ ხშირათ ეკითხება თავის თავს „ეს იყო ჩვენი იმედები?!“

ჩანჩალაი.

სადგური „კვლახი“.

წერილები რედაქციის მიმართ.

ზაკეთ „გაღის“ 13 №-ში დასტამბულია წერილი სოფ. აძვიბიდან (ავსანეთში), რომლის ავტორსაც სრულიად უადგილოდ და უმიზნოდ შეუმკია თავისი შენიშვნა ჩემი ლაზიკით. სიმართლის აღსადგენად გთხოვთ, ქ-ნო რედაქტორო, ამ სტრიქონებს მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში.

ბ. ატ-ტი ბრძანებს: „გასულს წელს აჭარმა მკვიდრმა მასწავლებელმა (ბ. ჯანიკომ) უქადაგა მეზობლებს, რომ ქაჩხანა თუ აქ ღაჩხა დაიღუპებოთ. აი ასე უტყვიან სამრეწველო საქმეს“ (ა (?)). ან ვინაა, რათა მოუწინა ასეთი ცილის წამება ბატონ ვარსკვლავსაგან. ახა, ბ. ატ-ტი, მიბრძანეთ, სად, რადის და ვის ვუქადაგა მე ის, რასაც თქვენ ამბობთ? გთხოვთ თქვენი სიტყვები დასტოვებოთ ფაქტობით, და თუ ვერ დასტოვებთ, მაშინ თქვენ საქციელს რა ვუწოდებთ? თუ თქვენ, ბ. ატ-ტი, მხედველობაში გაქვთ ჩემი წერილი ამავე ქაჩხანას, რომელიც შაქმან კვალში იყო დაბრუნდელი; მაშინ გთხოვთ ის სიტყვები და ის ადგილი ამოწეროთ, სადაც მე უჩრქვდი ჩემს მეზობლებს „ქაჩხანა დაღუპებოთ“—თქვა

თუ ვამბობდი და ახლაც ვამბობ, „ზავადმა“ დიდი ზარალი მისცა აძვიბის საზოგადოებას ეს მართლაც, და ჩემი რა ბრალია? ნუ თუ ზარალი არ არის, ბ. ატ-ტი, რომ საზოგადოებამ თქვენ მიერ სამაგალითოდ აღსაჩუბულ ზავადის წყალობით დაჯგუფება 300 ქრევანზე მეტი შეინიჭა სახანუ-სათუსი მიწა და 800 ქრევანზე მეტი საზაღსრო ჭაღაკები? ნუ თუ ზარალი არ არის, რომ ზავადმა დაღუპა წინაგული ძმთა დოტორების, რომელსაც შეჭურვებდა მთელი 150 კომლი აფსანთი? ახლა ვი ამ საცოდანთ 10—15 კერის სიმორხეუ მიქვთ დასაფუკავათ თავისი სიმინდი და თავისს დროსე განა დაფუკავენ? ნუ თუ ზარალი არ არის, რომ „ზავადის“ მუშები ვაღისასკით ესკვა საცოდან აფსანთი: ხამუშავანს: სიმინდს უანებს, ბაღებს და ვენახებს და უმოწყალოდ მუხსს ავლებენ? ახა მიბრძანეთ, ვინ განადგურა საცოდან ქვრივის შ. უვანისი, ახლაც უვანისს უანები და ქობულთის ვუნისი, რომელიც იმდროს „უშომელათ“ უოკვლ წელიწადს არა ნაკლებ 100 მანეთისა? ანუ თქვენ თვალში აფსანთა ზარალი—ზარალი არ არის? ნუ თუ თქვენ არ გავიგონებთ, რომ ამ ამავამ მთავრობის ყუჩამდისაც მიაწია, და ახლა საქმე წარმოებს? მიუსჯევთ ამისთანა უკანონო ქრევანს, ახა მითხარით, რადის ვუჩიე და

ვუქადაგა „ჩემს მეზობლებს“ ზავადი თქვენ დაგლუ-ზავსთქო?

ერთი კიდევ: თქვენ ამბობთ, ბ. ატ-ტი, რომ აჭარის სკოლა უგარვისიანო (ამისთანა მართალი არაფერი არ გითქვამთ!) და მასწავლებელს ვი არ ასასელებთ, ისე ვი არ ჭროვთ ლაზარკობთ, რომ მკითხველს ეგონება, ვითომც მე ვიყო ამ სკოლის მასწავლებელი; რა გიჭირდათ მასწავლებლის გვარი მოგესვენებინათ? თქვენ რომ აქვთ და ცამდის აგევთ ზავადი, ნეტა თუ მეტივეთ:—რამდენი მიეცათ ამის წყალობით წყაღვი დამხვრჩვალ ქართველ მეტივეთა დაობლებულ ღვასებს?

ჯანიკო.

დ გუდაუთი.

ბატ. „ქვემოთს“ შენიჭნათ დაუსატავს თავის წერილში სახსერის დღევანდელი საზოგადოების მდგომარეობა („გაღი“ .ა 10) მაგრამ დაკლებია შეძროვი: სახსერლები ეს ოც და ათი წელიწადია ეკლესიას აშენებენ და ვერ ააშენეს ერთი მეორეს ქიმშით. წარსულ წელს, შემადგომსე, უოკვლად სამღვდელთ იმეკეთის ემისკომბსმა ბესარიონმა მოიწვია სახსერს სამრეწველო ბლის შენობაში სახსერის საზოგადოებას და წინადადება მისცა ეკლესიის აშენებასე. მაგრამ ეს საქმე დამთავრდა მით, რომ ერთი გლეხი მიბრტყეს იქვე და უოკვლად სამღვდელთ ცარიელი სიტყვით დააკმაყოფილეს. სიტყვით უკვლად მზათ არის, მაგრამ საქმით უკვლად დაღასობს.

„ქვემოთს“ სხვათა შორის იწერება, რომ „ითსვისში სკოლა იყო, ახლა აღარ არის და რა მიზეზიანო“. 1886 წელში მე გავსენი ჩემის საჩუთი სამრეწველო სკოლა ითსვისში, მოვიწვიე მასწავლებლათ სამინისტრო სკოლაში ნამსასური უმწვილი, რომელმაც რიგინათ მოჭვიდა საქმეს სელი, მაგრამ ანაფორა ჩიცვა თუ არა მომეცადა სელიდან. მეც დანიშნეს იმის ადგილზე სემინარიელი. მაგრამ რადგან ხმა იყო დაგდებულა, რომ სამრეწველო სკოლებში არაფერი უნდა გადისადონ მეტიკდებოთ, ამისათვის შევიკდებოთ არაფერი არ მისცეს მასწავლებელს და მასწავლებელმაც გული აიღრუა და სკოლაც დაიხურა. გავიდა რამდენიმე ხანი და სასულიერო მთავრობამ მითხროვა უწმიდეს სინოდში წარსადგენულათ დიდი სოფლების სიები, სადაც უნდა გახსნილიყო სამრეწველო სკოლები. მე მაშინვე მივეცი წინადადება ითსვისის მრეწველს ამის შესახებ, რომელიც „შემიჩნდა

სახლის აშენებას იმ პირობით, უკეთუ მთავრობა მასწავლებელს მისცემდეს ჯამაგიკის, ადგილიც მზათ გეგმინდა. ყოველივე ეს იმეკეთის ეპარქიის სამსწავლებლო რჩევას მოვასხენე, მაგრამ ჩემი თხოვნა დარჩა უუხრადღებოთ. აი ეს იყო სასწავლებელის დახურვის მიზეზი. ხალხი დღესაც მზათ არის აკოას კარგი სახლი სასწავლებლისათვის უკეთუ მასწავლებელს ჯამაგიკი მიეცემა, ხოლო ჯამაგიკის მიცემა კი არ ძალუძს მასწავლებლისათვის, რადგან სამინისტრო სკოლისთვის ისდის ყოველ წლიურ გადასახადს. აქ ხალხი ისეთია, რომ თუ კეთილ საქმეს მოჰკვიდა სული კაცმა, ესენი უარს არ უუბნებიათ.

სამწუხარო ის არის რომ ითხოვისიდან სსკა-და-სსკა ადგილებზე ბევრია წასული ნასწავლი კაცები და კარგათაღ მდიდრები, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ჭკრ ჭკრებით ვრინტიც არ დაუძრავთ და არც ანაფერი არ უზრუნიათ ხალხის განათლებისათვის, იმ ხალხისათვის, რომლის რფელითაც ისინი არიან აღზრდილი და გაზრდილებული.

ბლადონი მღვდელი იოსებ წერეთელი.

ა ნ გ ა რ ი შ ი.

ექვს თებერვალს გამართულ სადამოადან, სამკითხველთა და სახალხო წიგნების გამოცემის სასარგებლოთ, შემოკვიდა: დასაპატიყუებლ ბანკთებიდან 273 მან., ჩაი და ხიდეულობიდან 71 მან, სულ 344 მან, დახარჯა 102 მან; წმინდა შემოსავალი დარჩა 242 მან. ამ სადამოს გამკენი დიდს მადლობას ვუძენით ყველას იმ პირობით, რომელთაც შემწეობა აღმოგვიჩინეს და თავიანთი წვლილი არ დაიშურეს, განსაკუთრებით ბატ. მ. ზ. ის — შვიდს, რომელმაც თავისი სახლი უფასოთ დაგვითმო.

ან. წერეთლის.

კე. მესხისა.

საქველ-მოქმედო საქმე

ქ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის „კვალის“ საშუალებით უდრმესი მადლობა გამოვუცხადო ქ. თფილისში მცხოვრებს კონსტანტინე ტქიფურაშვიდს, რომელიც მესამე წელიწადია უწევს რწმუნებულ ჩემდამი სკოლას საყმაწვილო ყურნად „ჭკვი-

ლს“. და მასთან შემოსწირა დიდი სურათი „საქმის“ ღოს დიდება“ სატიჩის სკოლის მასწავლებელი მისილ ბასტაქ.

„კვალის“ ფოსტა.

თფილისში. ერთ მუშათაგანს. გეაცნობეთ თქვენი ვინაობა.

ბ. ად. წ — მქს. თქვენი წერილი დაიბეჭდება მრავალ ნომერში.

ბ. ივ. იაშვიდს. თქვენი კითხვების პასუხს იქავე იხილავთ.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი ვაზეთი.

„კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წელს.

კაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო ვაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., ვაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., ვაგზავნით 2 მ. 50 კ. ოთო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ. ხელისმოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტალერის ქუჩა, № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ редакция „КВАЛИ“.

„კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

- თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 30 კ.)
- ალბომი „ბუნება სურათებში“ ყდ. 1 მ. 30 კ. (გასაგზ. 40 კ.)
- პატარა ლორდი . . . . . 30 კ.
- ჩვენი ძველი გმირები . . . . . 30 კ.
- თეთრი და ზანგი . . . . . 15 კ.
- სოლომონ მეფე . . . . . 10 კ.
- ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა . . . . . 10 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა.